

სახელთა მრავლობითობის გამოხატვა მეგრულ-ლაზურში

ქართველურ ქვესისტემებში სახელსა და ზმნას მოვებოვება საერთო კატეგორია - **გრამატიკული რიცხვი**, რომლის მიხედვითაც ყალიბდება ოპოზიციის ორი წევრი: მხოლობითი და მრავლობითი. გრამატიკულ განსხვავებას მათ შორის ქმნის მრავლობითი რიცხვის ფორმანტი. მრავლობითი რიცხვი ოპოზიციის მარკირებული წევრია, რითაც იგი უპირისპირდება მხოლობითს (ოპოზიციის არამარკირებულ წევრს); ამ წესს ქართველურ ქვესისტემებში გამონაკლისი არა აქვს.

შენიშვნა: რიცხვის მიხედვით ოპოზიციის წევრთა რაოდენობა განსხვავებულია ზოგიერთ ენაში, სადაც სახელს სამ-სამი ფორმა მოეპოვება (ძვ. ბერძნული, ძვ. რუსული, არაბული...); ფორმა ერთისა (მხ. რ.), ფორმა ორისა (ორობითი), ფორმა სამისა (მრ. რ.); ვარაუდობენ, რომ ორობითი რიცხვი წყვილად არსებული საგნების აღნიშვნამ წარმოშვა: ორი თვალი, ორი ყური... ა. შანიძის აზრით, ორობითი (წყვილობითი) რიცხვი ჯერ კიდევ შემორჩენილია ხევსურულში: ოე-ნი "ორი ვაჟი" — ოე-ებ-ნი "ვაჟები" (ა. შანიძე, 1967, გვ. 23-27); თუმცა ასეთი გარჩევა ამჟამად არ დასტურდება.

ქართული სამწერლობო ენის განვითარების მთელ მანძილზე მრავლობითობის გამოსახატავად სახელებში დადასტურებულია სამი ფორმანტი: **-ებ**, **-ნ**, **-თ**; ამათგან **-ნ** და **-თ** ერთ სისტემაში ფუნქციონირებს, **-ებ** სუფიქსის ადგილი კი განსაზღვრულია ამოსავალ ფუძესა და ბრუნვის ნიშნებს შორის: **კაც-ებ-ნი**, **კაც-ებ-მა**, **კაც-ებ-ს**, **კაც-ებ-ის..**

-ებ სუფიქსი ყველა ბრუნვაში გაჰყვება სახელს; **-ნ** აწარმოებს მარტოოდენ ორ ბრუნვას — სახელობითსა და წოდებითს, ხოლო **-თ** მოთხრობითს, მიცემითსა და ნათესაობითს; აკლია მოქმედებითი და ვითარებითი. თუმცა ვარაუდობენ, რომ უძველეს ქართულში ეს ორი ბრუნვაც თანიაანი ფორმით იყო წარმოდგენილი (ნ. მარი, თ. შარაძენიძე). სამეცნიერო ლიტერატურაში ასევე მითითებულია, რომ **ებ-იანი** და **ნარ-თანიაანი** მრავლობითი ქართული ენის სხვადასხვა ეტაპზე ერთნაირად არ გამოიყენებოდა. პირველ საფეხურზე გაბატონებული იყო **ნარ-თანიაანი** წარმოება, **ებ-იანი** კი შედარებით გვიანდელია, თავს იჩენს VII-VIII საუკუნეებისა და შემდგომი ხანის ძეგლებში (თუმცა მრავლობითობის ორივე ფორმის თანაარსებობა უტყუარი ფაქტია უძველესი დროიდან დღემდე. რასაც დაფიქსირებული სამწერლობო ძეგლები გვიდასტურებენ. შდრ.: **-ებ** სუფიქსიანი მრავლობითის ფორმა „სრულიად ჩვეულებრივი, სიცოცხლისუნარიანი და საკმაოდ გავრცელებული ფორმაა ძველ ქართულში. მას ენა არც ისე იშვიათად მიმართავს სახელთა მრავლობითობის გამოსახატავად და იყენებს **ნარ-თანიაანი** მრავლობითის გვერდით. განსაკუთრებით ხშირია მისი გამოყენება, როცა **ნარ-თანიაანი** მრავლობითი ჩვეულებრივ უძღურია ნათლად გამოხატოს სახელთა მრავლობითობა წრფელობითში, მოქმედებითსა და ვითარებითში (ი. იმნაიშვილი, 1957, გვ. 295).

მართალია, ქრონოლოგიურად **ნარ-თანიაანი** მრავლობითი ძველია, **ებ-იანი** კი ახალი, მაგრამ გამოყენების (მოხმარების) თვალსაზრისით ახალ ქართულში

უკანასკნელი წარმოებაა გაბატონებული და მას, შესაბამისად, **პირველ მრავლობითს** ვეძახით, ხოლო ნარ-თანთანს - **მეორეს**.

-ნ და **-თ** სუფიქსებით მრავლობითი რიცხვის წარმოება თანამედროვე სალიტერატურო ქართულში შეზღუდულია, თუმცა ქართული ენის მთის კილოებში კვლავ იგრძნობა მათი აქტივობა; მეტიც, სალიტერატურო ქართულში, გარკვეულ შემთხვევებში, ნარ-თანთან ფორმები არცთუ იშვიათია და ზოგჯერ აუცილებელიც. მისი განაწილების წესი კი ასე წარმოგვიდგება:

1. **-ნ** და **-თ** სუფიქსებით მრავლობითი ჩვეულებრივია ნაცვალსახელებში: ვი-**ნ**, ესე-**ნ**-ი, ისი-**ნ**-ი, მა-**თ**, იმა-**თ**...

2. თანთან წარმოება ძირითადია მყარ შესიტყვებებში: უხუცეს-**თ**-ა საბჭო, მეცნიერება-**თ**-ა აკადემია, უურნალისტ-**თ**-ა კავშირი, ქალ-**თ**-ა დღე...

3. მოქმედების სახელები მრავლობითში ძირითადად **-ნ** ფორმანტით ფორმდება: ძვერა-**ნ**-ი, მღერა-**ნ**-ი, ცქერა-**ნ**-ი, ვნება-**ნ**-ი, ტანჯვა-**ნ**-ი...

4. ასევე, **-ნ** სუფიქსით აღინიშნება გასუბსტანტივებული ატრიბუტივების მრავლობითობა: ერთ-**ნ**-ი, შვიდ-**ნ**-ი, მეორე-**ნ**-ი...

5. **-ნ** ფორმანტიანი მრავლობითი უპირატესად გამოიყენება სტილიზაციის მიზნით, თუმცა არა ყოველთვის; შდრ.: არჩევა > არჩევა-**ნ**-ი... (ბ. ჯორბენაძე, 1995, გვ. 30); **-ნ** გვაქვს აგრეთვე ახალი ლექსიკური ერთეულის საწარმოებლად: ლოცვა-**ნ**-ი, ჟამ-**ნ**-ი, მარხვა-**ნ**-ი, თვე-**ნ**-ი, კურთხევა-**ნ**-ი, დედა-**ნ**-ი (ორიგინალი)... (ა. შანიძე, 1980, გვ. 80); **-ნ** დაჩნდება სიტყვაწარმოებითი ფორმანტის დანიშნულებით საკუთარ სახელთაგან წარმოებ მრავლობითშიც: დავით-**ნ**-ი...

როგორც აღინიშნა, სალიტერატურო ქართულსა და მის კილოებში მრავლობითის ძირითადი მაწარმოებელია **-ებ** სუფიქსი, თუმცა დიალექტებში მის წარმოებასთან დაკავშირებული ფონეტიკური ცვლილებები შემდეგ სახესხვაობებს წარმოგვიდგენს:

-ებ > **ეფ** პაუზის ან ყრუ თანხმოვნის წინა პოზიციაში: კაც-ებ-ი, კაც-ებ-მა... მაგრამ: კაც-ეფ-ს//კაც-ეფ, რაც საერთო ქართული მოვლენაა.

-ებ > **-ევ** ყველა პოზიციაში ძირითადად დასტურდება ინგილოურში (უპირატესად კაკურ თქმაში): კაც-ებ-ი//კაც-ევ-ი, კაც-ევ-მა, კაც-ევ-ს, კაც-ევ-ის... (გ. იმნაიშვილი); იშვიათად სამცხურში: ბალ-ევ-ი, ქვი-ევ-ი (ქვა-ებ-ი).. გურულის ზოგ თქმაში მიცემითის -ს ნიშნის წინ: ბალნ-ევ-ს (ბ. ჯორბენაძე, 1989, გვ. 352; 528).

-ებ > **-ევ** გამოიყენება ქართული ენის ერთ-ერთ ისტორიულ დიალექტში; ამჟამად შემორჩენილია გეოგრაფიულ სახელებში: ვაშლ-ევ-ი, ბოსლ-ევ-ი, ბელლ-ევ-ი, ძეგლ-ევ-ი და სხვა (ვაშლ-ევ-ი = ვაშლ-ებ-ი, ბოსლ-ევ-ი = ბოსლ-ებ-ი, ბელლ-ევ-ი = ბელლ-ებ-ი (ა. შანიძე, 1941, 761).

-ებ > **-ენ** მრავლობითი რიცხვის მაწარმოებლად გვხვდება გურულის ზოგ თქმაში (უჩხუბი, დვაბზუ, ბახვი...): ბადიშ-ენ-ი, ბადიშ-ენ-მა, ბადიშ-ენ-ს, ბადიშ-ენ-ის... მეზობლ-ენ-ი, ყრმაწვილ-ენ-ი (ა. ლლონტი, პ. ლალანიძე); იმერულში (ხონურ თქმაში): მეზობლ-ენ-ი, სახლიკაც-ენ-ი (შ. ძიძიგური); მოხეურში **-ენ//**-ეთ სუფიქსით იწარმოება უშუალო სახელის ფუძისაგან შტო-გვარის სახელი: ჩოფიკ-ენ-ი — ჩოფიკაშვილებისი (ი. ჭავთარაძე); ასევე **-ან** და **-ენ** სუფიქსებით მოხეურში და **-ენ** სუფიქსით რაჭულში იწარმოება გვარ-ტომობის სახელები: თამაზ-ან-ი, მოს-ენ-ი, გელა-ენ-ი > გელ-ენ-ი > გელი-ენ-ი... (მესხ.); თანდილ-ენ-ი, სვან-ენ-ი, გოტო-ენ-ი, გოგნი-ენ-ი... (რაჭ...

-ებ > -ემ სპორადულად გამოიყენება კახურში პაუზისა და თანხმოვნის წინა პოზიციაში: აგურ-ებ-ი, მაგრამ: აგურ-ემ-ს „აგურ-ებ-ს,“ აგურ-ემ-თან „აგურ-ებ-თან“ (ბ. ჯორბენაძე, 1989, გვ. 325).

-ებ-ის ფონეტიკური ვარიაციები -ეფ/-იეფ და -ევ/-იევ დაჩნდება აჭარულში (წყლ-იეფ-ს) და მესხურში (ქმრ-იეფ-ი)...

-ებ/-აებ ვარიანტი დასტურდება ინგილოურში ხმოვანზე ფუძედაბოლოებულ უკვეცელ სახელთან: დოსტაშნა-აბ-ი „მეგობრ-ებ-ი“...

-იებ/-აებ ერთიან სუფიქსად გაიზარება და დაერთვის სახელებს (უპირატესად ფუძეკუმშვად სახელებს. ჩანს რედუცირებული ხმოვნის საკომპენსაციოდ): ცხვარი > ცხვრ-იებ, ქმარი > ქმრ-იებ-ი (მესხ.), ბეგი > ბეგ-აებ (აჭარ.) (ტ. ფუტყარაძე, ე. დადიანი, 2001, გვ. 4)...

ამრიგად, სალიტერატურო ქართულსა და დიალექტებში მრავლობითი რიცხვის მორფემებად დააჩნდება: -ნ, -თ, -ებ და ამ უკანასკნელის ფონეტიკური სახესხვაობანი: -ეფ, -ევ, -ენ, -ემ, -ეფ/-იეფ, -ევ/-იევ, -ებ/-აებ, -ენ/-ეთ (უკანასკნელი ალომორფი უმთავრესად პატრონიმებში).

რა ვითარებაა მრავლობითობის მაწარმოებელ სუფიქსთა თვალსაზრისით მეგრულ-ლაზურში? რა მსგავსება-განსხვავებას გვიჩვენებს ამ მხრივ დასახელებული ენობრივი კონტინუუმები სამწიგნობრო ქართულთან და მის დიალექტებთან მიმართებით?

წინასწარ შევნიშნავთ, რომ სახელთა მრავლობითი რიცხვის მორფემების ვარიანტებიდან -ნ, -თ სუფიქსებს კანონზომიერი ფონემური შესატყვისები მეგრულ-ლაზურში (სვანურშიც) არ მოეპოვება (ს. ჯანაშია, 1959, გვ. 142-155). ქართული -ებ-ის ეკვივალენტი მრავლობითობის ძირითადი სუფიქსი მეგრულში არის -ეფ.

შენიშვნა: ფაქტი, რომ ნაცვალსახელები წარმოადგენს ამა თუ იმ ენის უძველეს ლექსიკურ ინვენტარს, ხომ არ არის საძიებელი ქართული -ნ, -თ სუფიქსთა კვალი მეგრულ ნაცვალსახელებში? კერძოდ, მი? „ვინ“ > მი-ნ > მი-ნ-ეფ-ი (შდრ.: ვი > ვი-ნ > ვი-ნ-ებ-ი; ნამუ? „რომელი“ > ნამუ-ნ-ეფ-ი (შდრ.: რომელი > რომელ-ნ-ი/რომლ-ებ-ი); მუ? „რა?“ > მუ-თ-ეფ-ე (შდრ.: რა? > რა-ნ-ი/რა-ებ-ი).

-ეფ მეგრულში გვხვდება როგორც ხმოვნის, ისე თანხმოვნის მომდევნო პოზიციაში: კატუ „კატა“ — კატუ-ეფ-ი, კოტო „ქოთან“ — კოტო-ეფ-ი, ცირა „ქალიშვილი, გოგო“ — ცირ-ეფ-ი, ბოში „ბიჭი“ — ბოშ-ეფ-ი, ოსური „ქალი, ცოლი“ — ოსურ-ეფ-ი...

ლაზურში სახელთა მრავლობითი ფორმდება ფონოლოგიურად შეპირობებული ორი ალომორფით: -ფე და -ეფე. -ფე ერთვის ა, ე, ო და უ ხმოვნებით დაბოლოებულ ფუძეებს (ლეტა „მიწა“ — ლეტა-ფე, კუჩხე „ფეხი“ — კუჩხე-ფე, ჯოხო „სახელი“ — ჯოხო-ფე, კატუ „კატა“ — კატუ-ფე...), ხოლო -ეფე გვხვდება ი ხმოვნით დაბოლოებულ, ანუ წარმოშობით ოდენტანხმოვნიან ფუძეებთან (კოჩი „კაცი“ — კოჩ-ეფე, ჩხომი „თევზი“ — ჩხომ-ეფე).

მოთხრობითის -ქ და მიცემითის -ხ ნიშნების მომდევნოდ -ეფ ფორმანტს მეგრულში ენაცვლება -ენ და -ემ ალომორფები (შდრ.: გურული, იმერული: ბადიშ-ენ-ი, მეზობლ-ენ-ი... კახური: აგურ-ემ-ს, აგურ-ემ-თან...); აქედან -ენ ძირითადად დამახასიათებელია სენაკურისთვის, ხოლო -ემ ზუგდიდურ-ამურზაყანოული მეტყველებისთვის (ი. ყიფშიძე, 1914, გვ. 025-031):

სენაკური: მოთხრ. კოჩ-ენ-ქ „კაც-ებ-მა,“ მიც. კოჩ-ენ-ს „კაც-ებ-ს;“ მოთხრ. კატუ-ენ-ქ „კატ-ებ-მა,“ მიც. კატუ-ენ-ს „კატ-ებ-ს“...

ზუგდ.-სამურზაყანოული: მოთხრ. კოჩ-ემ-ქ „კაც-ებ-მა,“ მიც. კოჩ-ემ-ს „კაც-ებ-ს;“ მოთხრ. კატუ-ემ-ქ „კატ-ებ-მა,“ მიც. კატუ-ემ-ს „კატ-ებ-ს“...

თუმცა დაფიქსირებულ ტექსტებში არაიშვიათია **-ენ/-ემ** სუფიქსთა (-**ეფ**'ის პოზიციური ვარიანტები) თანაარსებობაც. **-ეფ** არქეტიპამდე დაიყვანება ლაზურის **-ფე, -ეფე** ალომორფებიც.

რა ურთიერთობაშია ქართული **-ებ** და ლაზური **-ეფ** ფორმანტები ერთმანეთთან? პასუხი მარტივია: ისინი ფუნქციურად შეესატყვისებიან ერთმანეთს, მაგრამ დარღვეულია კანონზომიერი ფონემური შესატყვისობა, რადგან ქართულ **-ებ**ს უნდა მოეცა **-აბ**: თუმცა **ბ>ფ** ცვლილების დაშვება მეგრულ-ლაზურში შესაძლებელია; ასევე ახსნადია ხმოვანელემენტში დარღვეული კანონზომიერი ფონემური შესატყვისობაც (ქართ. **ე** — მეგრ.-ლაზ. — **ე**, ნაცვლად ქართ. **ე** — მეგრ.-ლაზ. — **ა**) (გ. კლიმოვი, 1964, გვ. 78).

მეგრულ-ლაზური **-ეფ** და მისი პოზიციური ვარიანტები (**-ენ, -ემ, -ფე, -ეფე**) მეტ-ნაკლებად დასტურდება ქართული ენასა და მის დიალექტებში, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ სახელთა მრავლობითობის მორფემები (**-ებ, -ეფ** და მათი სახესხვაობანი) საერთო ქართულ-მეგრულ-ლაზური მოვლენაა და ძველი ვითარების დანაშრევად უნდა იქნეს მიჩნეული.

ხმოვანფუძიან სახელთა ერთ ნაწილში ფუძესა და მრავლ. რიცხვის ფორმანტს შორის შეიძლება დაჩნდეს **-ლ** (მეგრულ-ლაზურში) და **-მ** (მეგრულში) ელემენტები; მაგალითად,

მეგრულში: ჯიმა „ძმა“ — ჯიმა-ლ-ეფ-ი / ჯიმა-მ-ეფ-ი

დლა „დლე“ — დლა-ლ-ეფ-ი / დლა-მ-ეფ-ი

და „და“ — და-ლ-ეფ-ი / და-მ-ეფ-ი

(**-ლ**- ზუგდ.-სამურზაყანულშია წარმოდგენილი, **მ** კი - მარტვილურ-ბანძურ თქმაში; შდრ.: ზ.ს. მუ რე? „რა არის?“ — მარტვ.-ბანძური: მუ მე?).

ლაზურში: ჯა „ხე“ — ჯა-ლ-ეფე

ჯუმა „ძმა“ — ჯუმა-ლ-ეფე

სინჯა „სიძე“ — სინჯა-ლ-ეფე...

-ლ/-მ ელემენტი ძირითადად **-ა** ხმოვნით დაბოლოებულ ფუძეებში გვხვდება, თუმცა სპორადულად თავს იჩენს **-უ** და **-ე** ხმოვანფუძიან სახელებშიც:

მეგრ.: ჩხუ „ძროხა“ — ჩხუ-ლ-ეფ-ი / ჩხუ-მ-ეფ-ი

ხე „ხელი“ — ხე-ლ-ეფ-ი / ხე-მ-ეფ-ი

ქან.: ხე „ხელი“ — ხე-ლ-ეფე...

ზოგ ნაცვალსახელში **-ლ/-მ** ელემენტთა ნაცვლად **-ნ**- არის წარმოდგენილი: მი? „ვინ?“ — მი-ნ-ეფ-ქ? „ვინ?“ ზედმიწევნით „ვინები?“ (შდრ.: ქართ.: ვი-ნ-ებ-ი); ნამუ? „რომელი?“ — ნამუ-ნ-ეფ-ქ? „რომლები?“

სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ **ლ, მ, ნ** ელემენტებს არ მოეპოვება დამოუკიდებელი მორფოლოგიური ფუნქცია; მათი გამოყოფა პირობითია და მხოლოდ თვალსაჩინოების მიზნებს ემსახურება. სინქრონიული თვალსაზრისით ისინი მიჩნეულია მრავლობითის სუფიქსის ან ძირეული მორფემის შემადგენელ ელემენტებად (ა. ონიანი, 1989, გვ. 224): მკვლევართა უმრავლესობა მხარს უჭერს მეორე თვალსაზრისს და ასეთ

შესაძლებლობას აყალიბებს: ჯიმალ-ეფ-ი, ჯიმაღ-ეფ-ი, ნამუნ-ეფ-ი. ამდენად, ძირეული მორფემები ორ-ორი ალომორფითაა წარმოდგენილი: ჯიმა - ჯიმალ, ჯიმა - ჯიმაღ, ნამუ - ნამუნ და ა.შ. (ნ. მარი, ი. ყიფშიძე, არნ. ჩიქობავა, ა. ონიანი...).

ფუძისეულად მიაჩნია **-ლეფ** დაბოლოებისეული **-ლ** თ. გამყრელიძესა და გ. მაჭავარიანსაც. თუმცა ხშირ შემთხვევაში **ლ** ელემენტი (რომელიც თავის მხრივ შესაძლებელია ელემენტისაგან მომდინარეობდეს) მეგრულ-ჭანურში შედარებით გვიანდელი ჩანართი უნდა იყოს ხმოვნებს შორის არსებული ჰიატუსის თავიდან ასაცილებლად" (თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, 1965, გვ. 149).

მრავლობითობის სუფიქსების ალომორფების განაწილების წესის მიხედვით ლაზური უფრო შორსაა წასული და მეტი მრავალფეროვნებით გამოირჩევა, ვიდრე მეგრული; ამ მხრივ თვით ლაზურის კილოებიც კი უპირისპირდებიან ერთმანეთს; ვიწ.-არქაბულისა და ათინურ-ართაშენულისაგან მკაფიო განსხვავება იგრძნობა ხოფურ-ჩხალურში. კერძოდ, არნ. ჩიქობავას შენიშვნით: „ხოფურში ზოგჯერ ეს აღდგენილი **-ლ** იკარგება და გვაქვს: ჯაეფე, ყაეფე, ქრაეფე (არნ. ჩიქობავა, 1936, გვ. 2). ლაზურის კილოკავთაგან **-ეფე** სუფიქსის დართვა მხოლოდ ხოფურ-ჩხალურს ახასიათებს და პარალელურად გვაქვს: ჯა-ეფე//ჯა-ლეფე „ხეები,“ ყა-ეფე//ყა-ლეფე „ტოტები,“ ქრა-ეფე//ქრა-ლეფე „რქები,“ ქვა-ეფე//ქვა-ლეფე „ქვები“... მტკო-ეფე „მტკავლები,“ მწკო-ეფე „წყავეები“... თი-ეფე „თავეები,“ ტი-ეფე „ტილები“... მი-ეფე „ვინები,“ მუ-ეფე „რაები“...

გ. კარტოზიას დაკვირვებით, „-ეფე ალომორფი **-ლეფე**ს პარალელურად ბოლოხმოვნთან ფუძეთაგან მხოლოდ ერთმარცვლიანებს დაერთვის ხოფურ-ჩხალურში. მრავლობითის საწარმოებლად **-ლეფე**ს ლ თანხმოვნის არშემცველი სუფიქსი გვაქვს არა მხოლოდ ერთმარცვლიან, არამედ ორმარცვლიან ფუძეებშიც, მაგრამ ამ შემთხვევაში ლს მომდევნო ე ხმოვანი არ ჩანს. პარალელურად გვაქვს: ჯუმა-ლეფე/ჯუმა-ფე, მოთა-ლეფე/მოთა-ფე... ჯუმა-ეფე, მოთა-ეფე და მსგავსი ფორმები შეუძლებელია (გ. კარტოზია, 2005, გვ. 87).

ხოფურ-ჩხალური სხვა მხრივაც უპირისპირდება ვიწურ-არქაბულსა და ათინურ-ართაშენულს. მაგ.: თუ ორმარცვლიანი ფუძის მქონე ზედსართავეები **-ლეფე** ალომორფს დაირთავენ (მჭითა — მჭითა-ლეფე „წითლები,“ გინძე — გინძე-ლეფე „გრძლები“...), ერთმარცვლიანებს **-ელეფე** დაერთვის: მსქვა „ლამაზი“ — მსქვა-ელეფე, მჯვე „ძველი“ — მჯვე-ელეფე, ხჩე „თეთრი“ — ხჩე-ელეფე... თუმცა ამათ გვერდით ხოფურ-ჩხალურში ჩვეულებრივია **-ეფე** დაბოლოებიანი პარალელური ფორმებიც: მსქვა-ეფე, მჯვე-ეფე, ხჩე-ეფე... დასავლურ ლაზურში (არქაბე-ათინის ვილაიეთში) **-ფე** სუფიქსიანი ფორმებიც დასტურდება: მსქვა-ფე, ქჩე-ფე, მჩხუ-ფე...

ამრიგად, ქართულში მრავლობითობის ძირითადი მაწარმოებელია **-ნ, -თ, -ებ**; ხოლო მეგრულ-ლაზურში **-ებ** ფორმანტის ფონეტიკური ვარიანტია **-ეფ, -ეფე**; რაც შეეხება **-ევ, -იეფ, -იეფ, -აებ/-აეფ, -ენ, -ემ, -ფე, -ლეფე, -ელეფე, -ენ/-ეთ** (პატრონიმებში) კილოკავური ხასიათისაა და ძირითადი სუფიქსების პოზიციურ ვარიანტებს წარმოადგენენ.

სახელის მრავლობითობის ფორმანტთა სისტემის შედარებითი ანალიზი ცხადყოფს, რომ ქართულ-მეგრულ-ლაზური განსახილველ საკითხში ერთნაირ ვითარებას წარმოგვიდგენს, რაც კიდევ ერთხელ ხელშესახებს ხდის ქართველურ ქვესისტემათა ისტორიულ წარსულსა და საერთო წარმომავლობას.

ლიტერატურა

- თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, 1965 - თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბ., 1965.
- ი. იმნაიშვილი, 1957 - ი. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, თბ., 1957.
- გ. კარტოზია, 2005 - გ. კარტოზია, ლაზური ენა და მისი ადგილი ქართველურ ენათა სისტემაში, თბ., 2005.
- ა. ონიანი, 1989 - ა. ონიანი, ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკის საკითხები, თბ., 1989.
- ტ. ფუტყარაძე, ე. დადიანი, 2001 - ტ. ფუტყარაძე, ე. დადიანი, ქართველურ ენა-კილოთა სახელის პარადიგმის სისტემური ანალიზი, ქუთაისი, 2001.
- ა. შანიძე, 1980 - ა. შანიძე, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. III, თბ., 1980.
- ა. შანიძე, 1941 - ა. შანიძე, -ევკილოს კვალი საქართველოს გეოგრაფიულ სახელებში: მეცნ. აკადემიის მოამბე, თბ., 1941.
- ა. შანიძე, 1967 - ა. შანიძე, ორობითი რიცხვის საკითხისათვის ზვესურულში: თბილისის უნივერსიტეტის მოამბე, შრ., ტ. 121.
- არნ. ჩიქობავა, 1936 - არნ. ჩიქობავა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი, ტფ., 1936.
- ს. ჯანაშია, 1959 - ს. ჯანაშია, მრავლობითი რიცხვის -თა/-თ სუფიქსის ეტიმოლოგიისათვის: შრომები, ტ. III, თბ., 1959.
- ი. ყიფშიძე, 1914 - И. А. Кипшидзе, Грамматика мингрельского (иверского) языка с хрестоматией и словарем, СПб., 1914.
- გ. კლიმოვი, 1964 - Этимологический словарь картвельских языков, Москва, 1964.

MERAB NACHKHEBIA

EXPRESSION OF PLURAL NUMBER
IN MEGREL AND LAZ NOUNS

The article discusses basic markers and their variants of plural number of nouns in Kartvelian subsystems; I show that the varieties of *-eb* plural marker have vernacular nature and present themselves positional varieties of the principal suffixes. Comparative analysis made it clear that we have the identical picture of the discussed question in Georgian-Megrelian - and Laz which confirms once again the common history and origin of the Kartvelian language continuums.